დამტკიცებულია კანცლერის 2023 წლის
10 აპრილის #01-50 ბრძანებით

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობის შეფასების და წახალისების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობის შეფასების და წახალისების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებს, მინიმალური სამეცნიერო აქტივობის სტანდარტს, სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის წახალისებისა და რეაგირების ფორმებს. შეფასება და წახალისება ხორციელდება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სახელით განხორციელებულ აქტივობებზე.

მუხლი 2. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა

1. სამეცნიერო საქმიანობა მოიცავს აკადემიური პერსონალის ინტელექტუალურ საქმიანობას, რომლის შედეგია სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება, საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, სამეცნიერო საგრანტო პროექტის მომზადება და განხორციელება და სხვ. სამეცნიერო საქმიანობის დატვირთვა გამოიანგარიშება კვირაში 40 საათიანი სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე სხვა სავალდებულო დატვირთვების სხვაობის გათვალისწინებით. სამეცნიერო საქმიანობის შეფასება და წახალისება ხორციელდება სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ფორმით (დანართი 1).

მუხლი 3. აკადემიური პერსონალის აკადემიური საქმიანობა

1. აკადემიური საქმიანობა მოიცავს აკადემიური პერსონალის ისეთ პროფესიულ საქმიანობას, რომლის შედეგია სასწავლო ძირითადი/დამხმარე მასალის შექმნა/თარგმნა; სასწავლო-კვლევითი პროექტების მომზადება და განხორციელება და სხვ. აკადემიური საქმიანობის შეფასება ხორციელდება აკადემიური აქტივობების შეფასების ფორმით (დანართი 2). აკადემიური პერსონალის აკადემიური სალექციო დატვირთვა განისაზღვრება ცალკე დოკუმენტით „აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესი“.

მუხლი 4. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სავალდებულოდ შესასრულებელი სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობა

1. აფილირებულ აკადემიურ პერსონალს, რომლის შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებს ყოველთვიურ სახელფასო უზრუნველყოფას, მოეთხოვება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სახელით ერთი საანგარიშო წლის (კალენდარული წლის) განმავლობაში შეასრულოს დანართი N1-ით ან/და დანართი N2-ით განსაზღვრული საქმიანობა დადგენილი მინიმალური ქულის შესაბამისად:
   ა) აფილირებული პროფესორი: არანაკლებ 25 ქულა წლის განმავლობაში;
   ბ) აფილირებული ასოცირებული პროფესორი: არანაკლებ 20 ქულა წლის განმავლობაში;
   გ) აფილირებული ასისტენტ-პროფესორი: არანაკლებ 15 ქულა წლის განმავლობაში;
   დ) აფილირებული ასისტენტი: არანაკლებ 10 ქულა წლის განმავლობაში.
2. აფილირებულ აკადემიურ პერსონალს, რომლის შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებს დატვირთვის შესაბამისად სახელფასო უზრუნველყოფას, მოეთხოვება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სახელით ერთი საანგარიშო წლის (კალენდარული წლის)

განმავლობაში შეასრულოს დანართი N1-ით და დანართი N2-ით განსაზღვრული საქმიანობა დადგენილი მინიმალური ქულის შესაბამისად:

ა) აფილირებული პროფესორი: არანაკლებ 15 ქულა წლის განმავლობაში;

ბ) აფილირებული ასოცირებული პროფესორი: არანაკლებ 12 ქულა წლის განმავლობაში;

გ) აფილირებული ასისტენტ-პროფესორი: არანაკლებ 8 ქულა წლის განმავლობაში;

დ) აფილირებული ასისტენტი: არანაკლებ 5 ქულა წლის განმავლობაში.

3. აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა საანგარიშო წლის თვითშეფასების ანგარიში უნდა წარმოადგინოს მომდევნო წლის 15 იანვრამდე.

მუხლი 5. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობის მხარდამჭერი და წამახალისებელი მექანიზმები

1. უნივერსიტეტი სამეცნიერო საქმიანობის წახალისების მიზნით გასცემს სამეცნიერო პრემიას „თამარი“. პრემია რეგულირდება ცალკე დებულებით და ითვალისწინებს გამორჩეული სამეცნიერო მიღწევების მქონე პერსონალის დაჯილდოებას ორ წელიწადში ერთხელ.
2. სამეცნიერო კვლევების განვითარების და მეცნიერთა კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით უნივერსიტეტი ყოველწლიურად აცხადებს ფუნდამენტური და მცირე გრანტების კონკურსებს, რომელში მონაწილეობის უფლება აქვთ აფილირებულ აკადემიურ პერსონალს და სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებს, ახალგაზრდა მეცნიერებს და სტუდენტებს. აღნიშნული კონკურსები რეგულირდება ცალკე დებულებებით.
3. აკადემიური პერსონალის საგრანტო აპლიკაციების მხარდაჭერის მიზნით უნივერსიტეტი გასცემს თანადაფინანსებას საგრანტო პროექტის დამატებითი საჭიროებების გათვალისწინებით პროექტის ხელმძღვანელის წარდგინებით.
4. აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნით უნივერსიტეტში შემუშავებულია „აკადემიური პერსონალის უწყვეტი განვითარების გეგმა“.
5. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი აფინანსებს აკადემიურ და სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის და აკადემიურ-კვლევით მობილობებს საერთაშორისო კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებში, რაც რეგულირდება ცალკე დოკუმენტებით - აკადემიური აქტივობების და სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების წესებით.
6. აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური ინიციატივების წახალისების და კვლევის შედეგების გავრცელების მიზნით უნივერსიტეტი აფინანსებს სამეცნიერო და აკადემიური პუბლიკაციების გამოქვეყნების ხარჯებს (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები...), რაც რეგულირდება ცალკე დოკუმენტებით - აკადემიური აქტივობების და სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების წესებით.
7. სამეცნიერო საქმიანობის წახალისების მიზნით, პერსონალისთვის, რომელიც შეასრულებს დადგენილ მინიმალურ სტანდარტს, უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყოველწლიური ერთჯერადი დანამატის გაცემა და მადლობის გამოცხადება. დანამატი გაიცემა დანართ 3-ში განსაზღვრული აქტივობების მიხედვით, არაუმეტეს წლიურად 5000 ლარისა ერთ პერსონაზე.
8. Scopus-ის ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის/სტატიების გამოქვეყნების შემთხვევაში ფულადი დანამატის გაცემა მოხდება უნივერსიტეტის Scopus-ის პროფილში ინფორმაციის ასახვის შემდეგ, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის ელექტრონულ ფოსტაზე (science@ciu.edu.ge) ინფორმაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღეში.
9. აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის თითოეულ ქულაზე დანამატის სახით განისაზღვრება 25 ლარი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე, დანართი 3-ით განსაზღვრული აქტივობების მიხედვით, რომელიც გაიცემა მომდევნო წლის 15 მაისამდე. თანაავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაციების შემთხვევაში ქულების შესაბამისი დანამატი გაიყოფა თანაბრად კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

აფილირებულ პერსონალზე, თუ თავად პერსონალი არ გამოთქვამს ინიციატივას სხვაგვარი განაწილების შესახებ.

10. წლიური დანამატის რაოდენობის განსაზღვრის დროს დანართი 3-ის აქტივობების შესაბამის ქულებს გამოაკლდება Scopus-ის ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალში/ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების შესაბამისი ქულები, რომლებიც უკვე გაცემულია დანამატის სახით ამ მუხლის მე-8 პუნქტში აღწერილი პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 6. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

1. აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის, რომელიც წლის განმავლობაში არ შეასრულებს სამეცნიერო-აკადემიურ საქმიანობას დადგენილი მინიმალური ქულის შესაბამისად, ან დროულად არ წარმოადგენს ინფორმაციას, გათვალისწინებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:
   ა) გაფრთხილება;
   ბ) საყვედური;
   გ) ხელფასის დაქვითვა 10-20%-ით;
   დ) ხელშეკრულების შეწყვეტა;
2. დისციპლინური ღონისძიებების გატარების საფუძველია სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის მიერ მომზადებული ანგარიში, რომელიც შედგენილია აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტების შესაბამისად.
3. სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი პერსონალის წლიური სამეცნიერო აქტივობების შესახებ ანგარიშს წარუდგენს რექტორს აკადემიური-სამეცნიერო საქმიანობის შეფასების და წახალისების კომისიაზე (შემდგომში „კომისია“) დასამტკიცებლად, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: რექტორი, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, პერსონალის მართვის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის უფროსი და ფაკულტეტების დეკანები. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ექვსი ან მეტი წევრი.
4. წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შესახებ შეტყობინება იგზავნება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ინდივიდუალურად სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის მიერ ელექტრონული ფოსტიდან science@ciu.edu.ge.
5. დისციპლინური სანქციის გამოყენება არ საჭიროებს დამატებით წარმოებას და ხორციელდება შემდეგი პროცედურით:
   ა) გაფრთხილება გამოიყენება ყველა აფილირებული აკადემიური პერსონალის მიმართ, რომელმაც ვერ დააგროვა მისთვის დადგენილი მინიმალური ქულების ოდენობა.
   ბ) გაფრთხილების მიღების შემდეგ თუ კიდევ არ მოხდა მინიმალური ქულების დაგროვება აფილირებული აკადემიური პერსონალის მიმართ გამოიყენება სანქცია - საყვედური.
   გ) საყვედურის მიღების შემდეგ თუ აფილირებული აკადემიური პერსონალი კვლავ არ შეასრულებს მინიმალური ქულების ვალდებულებას, უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაუქვითოს ხელფასი ან შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 7. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. აღნიშნულ წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება კანცლერის ბრძანებით.
2. აღნიშნული წესის დამტკიცებით ძალადაკარგულად გამოცხადდა კანცლერის 2018 წლის 2 აგვისტოს #01-87 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიური პერსონალის რანგირების წესი“.

დანართი 1

პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა						
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო/აკადემიური პერსონალის თვითშეფასების ფორმა						
მეცნიერის სახელი, გვარი:						
ფაკულტეტი და მიმართულება:						
სამეცნიერო აქტივობა			**ქულა**	**თვითშეფასება**	**პუბლიკაციის DOI** *(ივსება მხოლოდ პუბლიკაციის ველებისთვის*	**განხორციელებული აქტივობის აღწერა, რომელსაც აქვს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია**
გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია	1	გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია რეფერირებად (peer review) ჟურნალში/კრებულში, რომელიც ინდექსირებულია web of science core collection ან/და scopus-ის ბაზებში.	40			
	2	გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია რეფერირებად (peer review) ჟურნალში/კრებულში, რომელიც ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო-ელექტრონულ ბაზებში (SpringerLink, Taylor and Francis, ScienceDirect, Sage, ERIH plus, EBSCO host და სხვ.)	15			
გამოქვეყნებული სამეცნიერო აბსტრაქტი	3	გამოქვეყნებული აბსტრაქტი რეფერირებად (peer review) ჟურნალში/კრებულში, რომელიც ინდექსირებულია web of science core collection ან/და scopus-ის ბაზებში.	8			

	4	გამოქვეყნებული აბსტრაქტი რეფერირებად (peer review) ჟურნალში/კრებულში, რომელიც ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო-ელექტრონულ ბაზებში (SpringerLink, Taylor and Francis, ScienceDirect, Sage, ERIH plus, EBSCO host და სხვ.)	4			
გამოქვეყნებული სამეცნიერო მონოგრაფია	5	გამოქვეყნებული მონოგრაფია, რომელიც ინდექსირებულია web of science ან Scopus ბაზებში	60			
	6	გამოქვეყნებული მონოგრაფია, რომელიც ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო-ელექტრონულ ბაზებსა ან/და ელექტრონულ ბიბლიოთეკებში (SpringerLink, JSTOR, Elsevier-ის ბაზები და სხვ.)	25			
	7	გამოქვეყნებული მონოგრაფია საზღვარგარეთ	12			
	8	გამოქვეყნებული მონოგრაფია საქართველოში *(წელიწადში ჩაითვლება არაუმეტეს ერთი მონოგრაფია)*	10			
საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა*	9	მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში პლენარული მომხსენებლის სტატუსით.	8			
	10	მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მომხსენებლის სტატუსით (სექციის მოხსენება, პოსტერით მოხსენება).	4			
ინდივიდუალურ სამეცნიერო-სასტიპენდიო კონკურსში **მონაწილეობა (დაფინანსების გარეშე)**	11	სამეცნიერო-საგრანტო პროექტის მომზადება და წარდგენა (დაფინანსების გარეშე) საერთაშორისო დონორ ორგანიზაციაში	10			
	12	სამეცნიერო-საგრანტო პროექტის მომზადება და წარდგენა (დაფინანსების გარეშე) საქართველოს დონორ ორგანიზაციაში	5			

ინდივიდუალურ სამეცნიერო-სასტიპენდიო კონკურსში **გამარჯვება**	13	საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის კონკურსში გამარჯვება	15			
	14	ადგილობრივი დონორი ორგანიზაციის კონკურსში გამარჯვება	10			
ინსტიტუციურ **სამეცნიერო საგრანტო კონკურსში წარდგენილ პროექტში** **მონაწილეობა (დაფინანსების გარეშე) სადაც** **კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის წამყვანი, თანამონაწილე, კონსორციუმის კოორდინატორი ან ბენეფიციარი ორგანიზაცია**	15	**საერთაშორისო** ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა (დაფინანსების გარეშე) **სამეცნიერო ხელმძღვანელის** სტატუსით, სადაც პროექტმა მიიღო არანაკლებ 71%-იანი შეფასება.	20			
	16	**ადგილობრივი** ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა (დაფინანსების გარეშე) **სამეცნიერო ხელმძღვანელის** სტატუსით, სადაც პროექტმა მიიღო არანაკლებ 71%-იანი შეფასება.	15			
	17	**საერთაშორისო** ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა (დაფინანსების გარეშე) **ძირითადი პერსონალის** სტატუსით, სადაც პროექტმა მიიღო არანაკლებ 71%-იანი შეფასება.	10			
	18	**ადგილობრივი** ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა (დაფინანსების გარეშე) **ძირითადი პერსონალის** სტატუსით, სადაც პროექტმა მიიღო არანაკლებ 71%-იანი შეფასება.	5			
ინსტიტუციურ **სამეცნიერო-საგრანტო კონკურსში**	19	**საერთაშორისო** ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა **სამეცნიერო ხელმძღვანელის** სტატუსით	30			

გამარჯვება, სადაც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის წამყვანი, თანამონაწილე, კონსორციუმის კოორდინატორი ან ბენეფიციარი ორგანიზაცია	20	**ადგილობრივი** ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა **სამეცნიერო ხელმძღვანელის** სტატუსით	25			
	21	**საერთაშორისო** ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა **ძირითადი პერსონალის** სტატუსით	20			
	22	**ადგილობრივი** ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა **ძირითადი პერსონალის** სტატუსით	15			
	23	**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის** საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა **სამეცნიერო ხელმძღვანელის** სტატუსით	10			
	24	**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის** საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა **ძირითადი პერსონალის** სტატუსით	5			
მაგისტრანტების და დოქტორანტების სამეცნიერო-საგრანტო აქტივობების ხელშეწყობა	25	სამეცნიერო ფონდებიდან გრანტის მოსაპოვებლად მაგისტრანტების ხელმძღვანელობა, რომელმა პროექტმაც მიიღო არანაკლებ 71%-იანი შეფასება, თუმცა ვერ მოიპოვა დაფინანსება	3			
	26	სამეცნიერო ფონდებიდან გრანტის მოსაპოვებლად დოქტორანტების ხელმძღვანელობა, რომელმა პროექტმაც მიიღო არანაკლებ 71%-იანი შეფასება, თუმცა ვერ მოიპოვა დაფინანსება	5			

	27	სამეცნიერო ფონდებიდან გრანტის მოსაპოვებლად მაგისტრანტების ხელმძღვანელობა, რომელმაც მოიპოვა დაფინანსება.	5			
	28	სამეცნიერო ფონდებიდან გრანტის მოსაპოვებლად დოქტორანტების ხელმძღვანელობა, რომელმაც მოიპოვა დაფინანსება.	7			
სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის შემთხვევაში, აუცილებელია მონაწილეობის სერთიფიკატის წარმოდგენა.						
მეცნიერის სამეცნიერო ნაშრომი უნდა იყოს ორიგინალური და არ უნდა წარმოადგენდეს უკვე გამოცემული ნაშრომის უმნიშვნელოდ განახლებულ ვერსიას.						

დანართი 2

აკადემიური აქტივობები (01-02, 08.01.2020)	N		ქულა	თვითშეფასება	განხორციელებული აქტივობის აღწერა, რომელსაც აქვს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია
სასწავლო მასალის შექმნა/თარგმნა (300 გვერდამდე)	1	წიგნი, სახელმძღვანელო, სასწავლო კურსი	6		
სასწავლო მასალის შექმნა/თარგმნა (300 გვერდზე მეტი - ყოველ დამატებით100 გვერდზე მიენიჭება ერთი ქულა)	2	წიგნი, სახელმძღვანელო, სასწავლო კურსი	N/A		
აკადემიური პროდუქტის მომზადება და წარდგენა საქართველოს დონორ ორგანიზაციაში (დაფინანსების მოპოვების გარეშე)	3		6		
აკადემიური პროდუქტის მომზადება და წარდგენა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციაში (დაფინანსების მოპოვების გარეშე)	4		9		
საქართველოს დონორი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სასწავლოკვლევით/აკადემიურ პროექტში მონაწილეობა	5		9		
საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სასწავლოკვლევით/აკადემიურ პროექტში მონაწილეობა	6		12		
სხვა აკადემიური/შემეცნებითი პროექტის შექმნა	7		6		

მინიჭებული ქულა (წიგნის, სახელმძღვანელოს, სასწავლო კურსის, თარგმანის შემთხვევაში) მიენიჭება სრულად თუ ნაშრომი არის ორიგინალური და არ წარმოადგენს უკვე გამოცემული ნაშრომის უმნიშვნელოდ განახლებულ ვერსიას. უკვე არსებული ნაშრომის განახლებული ვერსიის გამოცემის შემთხვევაში მიენიჭება ქულის მესამედი.

დანართი 3

პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა						
საპრემიო აქტივობები						
მეცნიერის სახელი, გვარი:						
ფაკულტეტი და მიმართულება:						
სამეცნიერო აქტივობა			**ქულა**	**თვითშეფასება**	**პუბლიკაციის DOI** *(ივსება მხოლოდ პუბლიკაციის ველებისთვის*	**განხორციელებული აქტივობის აღწერა, რომელსაც აქვს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია**
გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია	1	გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია რეფერირებად (peer review) ჟურნალში/კრებულში, რომელიც ინდექსირებულია web of science core collection ან/და scopus-ის ბაზებში.	40			
გამოქვეყნებული სამეცნიერო მონოგრაფია	2	გამოქვეყნებული მონოგრაფია, რომელიც ინდექსირებულია web of science ან Scopus ბაზებში	60			
ინდივიდუალურ სამეცნიერო-სასტიპენდიო კონკურსში გამარჯვება	3	საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის კონკურსში გამარჯვება	15			
	4	ადგილობრივი დონორი ორგანიზაციის კონკურსში გამარჯვება	10			

ინსტიტუციურ სამეცნიერო საგრანტო კონკურსში წარდგენილ პროექტში მონაწილეობა (დაფინანსების გარეშე) სადაც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის წამყვანი, თანამონაწილე, კონსორციუმის კოორდინატორი ან ბენეფიციარი ორგანიზაცია	5	**საერთაშორისო** ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა (დაფინანსების გარეშე) **სამეცნიერო ხელმძღვანელის** სტატუსით, სადაც პროექტმა მიიღო არანაკლებ 71%-იანი შეფასება.	20			
	6	**ადგილობრივი** ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა (დაფინანსების გარეშე) **სამეცნიერო ხელმძღვანელის** სტატუსით, სადაც პროექტმა მიიღო არანაკლებ 71%-იანი შეფასება.	15			
	7	**საერთაშორისო** ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა (დაფინანსების გარეშე) **ძირითადი პერსონალის** სტატუსით, სადაც პროექტმა მიიღო არანაკლებ 71%-იანი შეფასება.	10			
	8	**ადგილობრივი** ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა (დაფინანსების გარეშე) **ძირითადი პერსონალის** სტატუსით, სადაც პროექტმა მიიღო არანაკლებ 71%-იანი შეფასება.	5			
ინსტიტუციურ სამეცნიერო-საგრანტო კონკურსში გამარჯვება, სადაც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის წამყვანი, თანამონაწილე, კონსორციუმის კოორდინატორი	9	**საერთაშორისო** ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა **სამეცნიერო ხელმძღვანელის** სტატუსით	30			
	10	**ადგილობრივი** ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა **სამეცნიერო ხელმძღვანელის** სტატუსით	25			
	11	**საერთაშორისო** ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა **ძირითადი პერსონალის** სტატუსით	20			

ან ბენეფიციარი ორგანიზაცია	12	**ადგილობრივი** ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა **ძირითადი პერსონალის** სტატუსით	15			
მაგისტრანტების და დოქტორანტების სამეცნიერო-საგრანტო აქტივობების ხელშეწყობა	13	სამეცნიერო ფონდებიდან გრანტის მოსაპოვებლად მაგისტრანტების ხელმძღვანელობა, რომელმაც მოიპოვა დაფინანსება.	5			
	14	სამეცნიერო ფონდებიდან გრანტის მოსაპოვებლად დოქტორანტების ხელმძღვანელობა, რომელმაც მოიპოვა დაფინანსება.	7			